

პაპუნა დავითაია

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელფოსტა: davitaia.p@gmail.com

საქართველოს ეროვნული ინტერესები შავ ზღვაზე: სტრატეგიული გამოწვევები და ახალი შესაძლებლობები

აბსტრაქტი

პერიფერიული საზღვაო აკვატორიიდან შავი ზღვა ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ სივრცედ გარდაიქმნა. რეგიონი დიდი ხანია აღარ მოიხსენიება მხოლოდ როგორც ე.წ. „გაყინული კონფლიქტები“-ს გეოგრაფიულ ლოკაციად, არამედ ის აქტიური სამხედრო დაპირისპირების, ევროპული უსაფრთხოების, ენერგეტიკული მდგრადობის, კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურის მოწყვლადობისა და გეოპოლიტიკური ძალთა ბალანსის რეალურ დროში გამოცდის სივრცედ იქცა. თუმცა, უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანმა სამხედრო ინტერვენციამ, შავი ზღვა არასტაბილურ საზღვაო აკვატორიად აქცია, სადაც კონვენციური თუ ჰიბრიდული ძალების საფრთხემ კომერციული ნავიგაცია, ოფშორული ინფრასტრუქტურა თუ ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირება დიდი რისკის ქვეშ დააყენა.

წინამდებარე კვლევა მიმოიხილავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს შავ ზღვაზე და მათ სამ ურთიერთდაკავშირებულ კატეგორიად ყოფს; ესენია - ეროვნული უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის დაცვა/უზრუნველყოფა; ეკონომიკური დაკავშირებადობა და ინფრასტრუქტურული ინტერესები, და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციასთან დაკავშირებული საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მიზნები. მეთოდოლოგიურად თვისებრივი ანალიზის საფუძველზე, კვლევა ეყრდნობა ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტებს, ევროატლანტიკური ინსტიტუტების პოლიტიკის ანალიზს, აკადემიურ ლიტერატურას და ანალიტიკური დოკუმენტების შესწავლა-მიმოხილვას. დოკუმენტში რეალიზმის თეორია გამოყენებულია როგორც ფართო გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების არსებული

სურათის რაციონალური შეფასებისთვის, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ძალთა კონკურენცია-ბალანსის, რუსეთის ძალისმიერი პოლიტიკის, უსაფრთხოების დილემისა და საქართველოს მიერ საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიების ძიების მნიშვნელობის ასახსნელად.

შავი ზღვა საქართველოსთვის წარმოადგენს სტრატეგიული შესაძლებლობისა და გამოწვევებით სავსე რეგიონს. დაანონსებული ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობა და „მწვანე ენერგიის“ პროექტის ფარგლებში შავ ზღვაში წყალქვეშა ელექტროკაბელების გაყვანა ასახავს საქართველოს სტრატეგიულ ამბიციას, გააძლიეროს საკუთარი როლი როგორც სატრანზიტო, ლოგისტიკური და ენერგეტიკული ხიდი ცენტრალურ აზიას, სამხრეთ კავკასიასა და ევროპას შორის. თუმცა, ეკონომიკური დაკავშირებადობა ვერ იქნება ცალსახად გამიჯნული რეგიონის გაუარესებული უსაფრთხოების გარემოსგან. რუსეთის ადაპტირებადი განლაგება შავ ზღვაზე, მათ შორის ოკუპირებულ აფხაზეთში ოჩამჩირის პორტის შეზღუდული ლოგისტიკური თუ მხარდაჭერის კვანძად შესაძლო გამოყენება, აჩვენებს, რომ შედარებით მოკრძალებულ საზღვაო ინფრასტრუქტურასაც კი შეიძლება მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სამართლებრივი და სტრატეგიული დატვირთვა ჰქონდეს.

ნაშრომი ასევე მიმოიხილავს საქართველოს გამოწვევებს ზღვაზე და ამ მიმართულებით კრიტიკულად მნიშვნელოვანი შესაძლებლობების დანერგვა-განვითარების საჭიროებებს, სახელმწიფოსთვის შესაბამის რესურსებთან ხელმისაწვდომობისა და შეზღუდვების გათვალისწინებით. აღნიშნული მოიცავს ეროვნული საზღვაო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებას, უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერებას, პორტების მართვისა და სანქციებთან შესაბამისობის ზედამხედველობის მექანიზმების გაუმჯობესებას, საზღვაო სივრცის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, სანაპირო დაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესებას და NATO-სა და შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებთან უფრო ღრმა, პრაქტიკულ თანამშრომლობას.

ამრიგად, საქართველოს საზღვაო მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა სატრანზიტო დამაკავშირებელი ჰაზისა და რეგიონული ინტეგრაციის ამბიციების თანხვედრას შავ ზღვაზე არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებთან.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; საზღვაო ინტერესები; კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურა; შავი ზღვა; რეგიონული უსაფრთხოება.

შესავალი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში შავი ზღვა თანამედროვე ევრაზიული და ევროპული უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ სივრცედ ჩამოყალიბდა. პერიფერიული საზღვაო აკვატორიიდან, ეტაპობრივად იგი გარდაიქმნა სტრატეგიულ კვანძად, რომელიც ევროპას, სამხრეთ კავკასიას, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთს ერთმანეთთან აკავშირებს. გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, მონტროს კონვენციის დებულებების, ენერგეტიკული დერეფნების, საზღვაო მარშრუტებისა და სატრანზიტო პოტენციალის გათვალისწინებით შავი ზღვის რეგიონი დიდი ხანია პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური კონკურენციის ობიექტად არის გადაქცეული. ცივი ომის შემდგომ პერიოდში მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა, მათ შორის NATO-სა და ევროკავშირის გაფართოების, ტრანსკავკასიური ნავთობისა და გაზის ინფრასტრუქტურის ისევე როგორც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნების განვითარების ფონზე (Anlar, 2013; Pedersen, 2011; Republic of Türkiye Ministry of Foreign Affairs, 2023).

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში დაგეგმილმა და განხორციელებულმა სტრატეგიულმა პროექტებმა რეგიონის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. სამხრეთის გაზის დერეფანი, მწვანე ენერგიის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი შავ ზღვაში ელექტროგადამცემი კაბელების გაყვანა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ინიციატივა, ევროპის ენერგეტიკული დივერსიფიკაციისა და კონტინენტური დაკავშირებადობის თვალსაზრისით შავი ზღვის რეგიონის მზარდ როლზე მიუთითებს. აღნიშნული პროექტები საქართველოსთვის არა მხოლოდ ეკონომიკური ინტერესის საგანს წარმოადგენს, არამედ ისინი ინსტრუმენტებია, რომელთა მეშვეობითაც ქვეყანამ უნდა მოახდინოს საკუთარი სტრატეგიული მნიშვნელობის გაძლიერება და სატრანზიტო ფუნქციის კონსოლიდაცია, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში მყარ ინტეგრაციას (Anaklia Development Consortium, n.d.; Georgian State Electrosystem Ltd., n.d.; Gamkrelidze, 2024; Trans-Anatolian Natural Gas Pipeline, n.d.).

უნდა აღინიშნოს, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების დინამიკის გააზრება შეუძლებელია პოსტ-საბჭოთა სივრცეში რუსეთის რევიზიონისტული პოლიტიკის გათვალისწინების გარეშე. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, 2014 წელს ყირიმის ოკუპაცია-ანექსიამ

და 2022 წელს რუსეთის სრულმასშტაბიანმა შეჭრამ უკრაინაში ფუნდამენტურად შეცვალა რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურა. თუკი აქამდე რეგიონული უსაფრთხოების დღისწესრიგს ე.წ. „გაყინული კონფლიქტები“ წარმოადგენდა, დღეს რუსეთის ფედერაციის კონვენციური, ჰიბრიდული თუ ბირთვული დაშინების პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით რეგიონში მართვადი არასტაბილურობის შექმნა-შენარჩუნებაზეა ორიენტირებული (Courtney, 2023; Flanagan et al., 2020; Stronski, 2021; de Waal, 2024).

საქართველომ, როგორც შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფომ, რომელსაც გააჩნია ოკუპირებული ტერიტორიები, შეზღუდული რესურსები და შესაძლებლობები ზღვაზე, საკუთარი ევრაზიული დაკავშირებადობის ამბიციები უნდა განახორციელოს უსაფრთხოების ისეთ გარემოში, სადაც რუსეთის აგრესიის საფრთხე, ინფრასტრუქტურული მოწყვლადობა და რეგიონული ფრაგმენტაცია ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. შესაბამისად, საქართველოს ნავსადგურები, სანაოსნო მარშრუტები, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა და დაანონსებული/მიმდინარე სტრატეგიული პროექტები ზღვაზე უნდა განიხილებოდეს როგორც ეკონომიკური განვითარების, ისე ეროვნული უსაფრთხოების დღისწესრიგის ნაწილად.

საქართველოს ეროვნული ინტერესები ზღვაზე მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ფართო სტრატეგიულ ამბიციებს, რომელიც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციისკენაა ორიენტირებული. ეს უკანასკნელი კი გამყარებულია ქვეყნის კონსტიტუციითა და სტრატეგიული დოკუმენტებით, მათ შორის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით და განსაზღვრულია როგორც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სწრაფად ცვალებადი რეგიონული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, ყოვლისმომცველ გადახედვა/განახლებას საჭიროებს მთელი რიგი სტრატეგიული დოკუმენტები, მათ შორის: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. აღნიშნული დოკუმენტები ხაზს უსვამს ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, დეოკუპაციას და NATO-სა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციას. თუმცა, ხსენებული პრიორიტეტების საზღვაო განზომილება არსებულ ეროვნულ სტრატეგიულ დაგეგმვაში კვლავ არასაკმარისი დოზითა და მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. ეს მოცემულობა კი იძლევა განსხვავებულ სურათს, როდესაც საუბარია საქართველოს მზარდ საზღვაო პოტენციალსა და მის სატრანზიტო-სატრანსპორტო დამაკავშირებელ როლზე რეგიონში. აღნიშნული ამბიციები კი არ არის სრულად თანხვედრაში იმ ინსტიტუციურ

შესაძლებლობებსა თუ ინფრასტრუქტურულ მზადყოფნასთან, რაც ამ ფუნქციის უსაფრთხო გარემოში განხორციელებას შეუწყობს ხელს (Ministry of Foreign Affairs of Georgia [GEO MFA], n.d.).

შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში საკვლევ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოს საზღვაო და დაკავშირებადობის ამბიციების ინიცირება ხდება იმ პირობებში, როდესაც შავი ზღვის უსაფრთხოების გარემო უფრო მეტად მილიტარიზებული, ფრაგმენტირებული და უკონტროლო საზღვაო ზონების რისკებისადმი უფრო მეტად მოწყვლადი ხდება. აღნიშნული მოცემულობა კი საქართველოსთვის ქმნის სტრატეგიულ დილემას - თუ როგორ გააძლიეროს ქვეყანამ საკუთარი როლი როგორც სატრანზიტო, ენერგეტიკული და ლოგისტიკური ჰაბი ისე, რომ ერთდროულად დაიცვას სუვერენიტეტი, კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურა და ევროატლანტიკური ორიენტაცია შეზღუდული რესურსებისა და რუსეთის მუდმივი ზეწოლის პირობებში (Miller, 2024; EU NEIGHBOURSEAST, 2024).

ამ ფონზე, წინამდებარე კვლევა განიხილავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს შავ ზღვაზე სტრატეგიული გამოწვევებისა და ახალი შესაძლებლობების პრიზმაში. ნაშრომი ამტკიცებს, რომ საქართველოს საზღვაო სივრცე არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ეკონომიკური ან სატრანსპორტო აქტივი, არამედ როგორც ეროვნული უსაფრთხოების, რეგიონული მედეგობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კრიტიკული განზომილება. დოკუმენტი ოთხ ეტაპად ვითარდება და იგი მიმოიხილავს შესაბამის ლიტერატურას და წარმოადგენს თეორიულ ნარატივს; განმარტავს მეთოდოლოგიას; მიმოიხილავს საქართველოს საზღვაო ინტერესებს; და აჯამებს კრიტიკულ პრიორიტეტებს საზღვაო მედეგობის გასაძლიერებლად.

ლიტერატურის მიმოხილვა

შავი ზღვის რეგიონი მზარდი ინტერესის საგანს წარმოადგენს პოლიტიკურ თუ აკადემიურ დონეზე, როგორც სივრცე, სადაც გეოპოლიტიკური დაპირისპირება, საზღვაო უსაფრთხოება, კრიტიკული ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკული და სატრანზიტო მატარებლების მნიშვნელობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. აკადემიური ლიტერატურა რეგიონს სულ უფრო მეტად განიხილავს არა მხოლოდ როგორც სატრანსპორტო დერეფანს ევროპას, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას შორის, არამედ როგორც არასტაბილურს უსაფრთხოების თვალსაზრისით, რომელიც მოუგვარებელი კონფლიქტებით, რუსეთის

რეგიონისტული პოლიტიკითა და დიდ სახელმწიფოებს შორის ინტერესთა შეუთავსებლობით არის ფორმირებული.

წინამდებარე კვლევითი დოკუმენტის მიზნებისთვის, არსებული ლიტერატურა შეიძლება ოთხ ფართო მიმართულებად დაიყოს. პირველი - შავ ზღვას განიხილავს როგორც გეოპოლიტიკურ და სამხედრო-უსაფრთხოების სივრცეს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რუსეთის რეგიონულ ამბიციებს, NATO-ს როლსა და ინტერესს შავ ზღვაზე, ყირიმის მილიტარიზაციასა და რუსეთ-უკრაინის ომის პოტენციურ შედეგებს. მეორე მიმართულება ფოკუსირდება მცირე სახელმწიფოების უსაფრთხოებასა და იმ დილემებზე, რომელთა წინაშეც დგანან ისეთი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, ქვეყნები - რომელთა სტრატეგიული ორიენტაცია საერთაშორისო პარტნიორობებზეა დამოკიდებული, მაშინ როდესაც მათი უსაფრთხოების გარემო კვლავაც უფრო ძლიერი მეზობელი ძალების გავლენით ყალიბდება. მესამე ნაწილი ეხება საზღვაო უსაფრთხოებას, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას და პორტების, საზღვაო-სანავიგაციო მარშრუტების, ოფშორული და წყალქვეშა ინფრასტრუქტურის მოწყვლადობას. მეოთხე მიმართულება აანალიზებს დაკავშირებადობას, ენერგეტიკულ დერეფნებსა და თანამშრომლობის ფორმატებს და მათ პოტენციალს რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერების კონტექსტში (Anlar, 2013; Flanagan et al., 2020; Pedersen, 2011; Task Force on the Black Sea Security, 2023).

ცივი ომის დასრულების შემდეგ შეიქმნა არაერთი რეგიონული თანამშრომლობის ინიციატივა, რომელთა მიზანი იყო შავი ზღვის სავაჭრო, ენერგეტიკული და სატრანსპორტო პოტენციალის განვითარება და სანაპირო თუ პარტნიორ სახელმწიფოებს შორის თავდაცვა-უსაფრთხოების მიმართულებით ისევე როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფორმატში თანამშრომლობის ხელშეწყობა. შავი ზღვის აუზის სახელმწიფოების, ევროპული ინიციატივებისა და დაფინანსების მექანიზმების მხარდაჭერით შექმნილ თანამშრომლობის პლატფორმებს შორის იყო შავი ზღვის ეკონომიკური ფორუმი (BSEC), შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვაო ძალების თანამშრომლობის ჯგუფი (BLACKSEAFOR), ოპერაცია შავი ზღვის ჰარმონია (Operation Black Sea Harmony), ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (European Neighbourhood Policy), ბაქოს ინიციატივა (Baku Initiative), შავი ზღვის ფორუმი (Black Sea Forum), შავი ზღვის სინერგია (Black Sea Synergy) და აღმოსავლეთ პარტნიორობა (Eastern Partnership). ისინი ასახავდა მოლოდინს, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, კოორდინაციისა და ურთიერთთავსებადობის ზრდა ზღვაზე, ისევე როგორც ინსტიტუციური დიალოგი სახელმწიფოებს შორის, რეგიონულ სტაბილურობას შეუწყობდა ხელს. თუმცა, მათი

პრაქტიკული როლი და გავლენა შეზღუდული დარჩა, რადგან რუსეთი შავ ზღვას სულ უფრო მეტად განიხილავდა არა როგორც თანამშრომლობის რეგიონულ სივრცეს, არამედ როგორც პრივილეგირებული გავლენისა და სტრატეგიული დომინირების არეალს (Anlar, 2013; Pedersen, 2011; Koridze, 2026).

აღნიშნული შეზღუდულობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომითა და 2014 წელს ყირიმის ოკუპაცია-ანექსიით, ისევე როგორც რუსეთის მიერ სამხედრო წვრთნების ჩატარების საფარქვეშ შავ ზღვაზე ნაოსნობისთვის კონკრეტული საზღვაო ზონების ჩაკეტივით, რამაც თავისუფალი ნაოსნობის უფლების შეზღუდვა გამოიწვია. 2022 წელს რუსეთის სრულმასშტაბიანმა შეჭრამ უკრაინაში კიდევ უფრო გამოავლინა ადრეული თანამშრომლობის მექანიზმების სისუსტე და პარტნიორობასა და ნდობის აღდგენაზე დაფუძნებული რეგიონული ფორმატები, აღნიშნული ინიციატივებისადმი უნდობლობითა და ზღვაზე ურთიერთქმედების ეტაპობრივი შეჩერებით შეიცვალა. შედარებით ახალი ინიციატივები, მათ შორის შავი ზღვის უსაფრთხოების ფორუმები და სამხრივ ფორმატში ინიცირებული შავ ზღვაზე ნაღმებთან ბრძოლის წინააღმდეგ ერთობლივი თანამშრომლობის მექანიზმი თურქეთს, რუმინეთსა და ბულგარეთს შორის, ასახავს სწორედ იმ ტრანსფორმაციას, რომელიც შავი ზღვის რეგიონში მზარდი უსაფრთხოების რისკებსა და გამოწვევებზე საპასუხოდ შეიქმნა (Flanagan et al., 2020; Stronski, 2021; Task Force on the Black Sea Security, 2023).

შავი ზღვაზე რუსეთის სამხედრო განლაგების შესახებ არსებული ლიტერატურა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს საზღვაო ინტერესების შესაფასებლად. რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ისტორიულად ფუნქციონირებდა როგორც რეგიონული კონტროლის, საოპერაციო გადასროლისთვის ძალთა მობილიზება/მზადყოფნის და ეკონომიკური ინტერესების დაცვის ინსტრუმენტი. თუმცა, უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა აიძულა იგი მნიშვნელოვნად შეეცვალა საკუთარი ტაქტიკურ-სტრატეგიული გეგმები ზღვაზე. უკრაინის ასიმეტრიულმა შესაძლებლობებმა, მათ შორის სარაკეტო დარტყმებმა და უპილოტო საზღვაო სისტემებმა, შეზღუდა რუსეთის მოქმედების თავისუფლება და მოსკოვს უფრო თავდაცვითი და შავ ზღვაზე დარჩენილი მცურავი შესაძლებლობების გაშლა/გადანაწილებისკენ უბიძგა. ამ კონტექსტში, დამხმარე ინფრასტრუქტურამ, როგორცაა ნოვოროსიისკის, ფეოდოსიის და პოტენციურად ეხლა უკვე ოჩამჩირის ნავსადგური, ახალი მნიშვნელობა შეიძინა როგორც რუსეთის ადაპტაციის ელემენტებმა შავი ზღვის რეგიონში (Daly, 2025; Regional Institute for Security Studies [RISS], 2025; Stronski, 2021).

თეორიული თვალსაზრისით, ნაშრომი იყენებს რეალიზმს როგორც ფართო გეოპოლიტიკურ და უსაფრთხოების ანალიტიკურ ჩარჩოს. ამავდროულად იგი რეალიზმს არ განიხილავს ერთმნიშვნელოვნად როგორც თეორიულ განმარტებით მოდელს საქართველოს საზღვაო პოლიტიკის დეტალურად ასახსნელად. აღნიშნული თეორიული ნარატივი მნიშვნელოვანია შავი ზღვის უსაფრთხოების გარემოს იმ განზომილებების ინტერპრეტაციისთვის, რომლებიც ძალთა კონკურენციით, უსაფრთხოების დილემებით, ჰიბრიდული, კონვენციური და ბირთვული შესაძლებლობების მანიპულაციით გავლენის სფეროების ზრდაზე არის ორიენტირებული. სწორედ რომ ანარქიულ სისტემაში ზესახელმწიფოებრივი არბიტრის არარსებობა არის გარკვეულწილად განმსაზღვრელი, თუ რატომ ვერ ხერხდება სტაბილური რეგიონული წესრიგის უზრუნველყოფა (Waltz, 1979).

ამრიგად, ანარქიულ სისტემურ სტრუქტურაში სახელმწიფოები იძულებულნი არიან, საკუთარი მოსახლეობის, სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების დასაცავად უპირველესად საკუთარ შესაძლებლობებს, რესურსებსა და საერთაშორისო პარტნიორობაზე დამყარებულ დაბალანსების სტრატეგიებს დაეყრდნონ. აღნიშნული ლოგიკა ხელს უწყობს როგორც შავი ზღვის რეგიონში რუსეთის ძალისმიერი პოლიტიკის რაციონალურ ახსნას, ისე NATO-სა და მოკავშირე სახელმწიფოებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის გზით საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემის მნიშვნელობის გააზრებას. ამ პერსპექტივიდან NATO-ს შემდგომი პოტენციური გაფართოება რეგიონში, შეიძლება შეფასდეს როგორც რევიზიონისტული ძალის დაბალანსების მექანიზმი. საქართველოს შემთხვევაში კი ევროატლანტიკური ამბიციები პასუხობს მცირე სახელმწიფოთა სტრატეგიულ ლოგიკას, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების გარანტიებს დიდ სახელმწიფოებსა თუ ალიანსებზე მიბმით უზრუნველყოფს (Flanagan et al., 2020; Stronski, 2021; Walt, 2022; de Waal, 2024).

ეს მიდგომა განსაკუთრებით რელევანტურია საქართველოსთვის. როგორც პატარა სახელმწიფო, რომელიც გეოპოლიტიკურად არასტაბილურ გარემოში მდებარეობს, საქართველო მუდმივად უსაფრთხოების დილემის წინაშე დგას. იგი ცდილობს ქვეყნის სუვერენიტეტის კონსოლიდაციას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-დაცვას და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას, იმ პირობებში, როდესაც რეგიონში რუსეთი საკუთარ სამხედრო უპირატესობას, დასავლეთთან ბუფერული ზონების აღმართვას და მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიების ოკუპაციას, პოსტ-საბჭოთა სივრცეში ე.წ. მართვადი არასტაბილურობის შესანარჩუნებლად იყენებს. შესაბამისად, რეალიზმის თეორია ხსნის, თუ რატომ ვერ იქნება ყოვლისმომცველი

საქართველოს საზღვაო ინტერესების შეფასება მხოლოდ ეკონომიკურ დაკავშირებადობის კრილში. ნავსადგურებს, მილსადენებს, საზღვაო საკომუნიკაციო ხაზებს, წყალქვეშა კაბელებსა თუ ციფრული ლოგისტიკურ სისტემებს ქვეყნისთვის საზღვაო უსაფრთხოების არქიტექტურაში სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნიათ, როგორც კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურის შემადგენელ კომპონენტებს.

ამასთანავე, კვლევა აღიარებს, რომ მხოლოდ რეალიზმი სრულად ვერ ხსნის საქართველოს საზღვაო დღის წესრიგის ინსტიტუციურ, ტექნოლოგიურ და თანამშრომლობით განზომილებებს. ისეთი საკითხები, როგორიცაა უწყებათაშორისი კოორდინაცია, ნავსადგურების უსაფრთხოების მართვა-კონტროლი, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებთან (შემდეგში სანქციები) შესაბამისობის ზედამხედველობა, საზღვაო სივრცის შესახებ ცნობიერების ამაღლება, კიბერუსაფრთხოების ლოგისტიკური უზრუნველყოფა და NATO-სთან ურთიერთთავსებადობის ამაღლება, ქვეყანაში საზღვაო სუბიექტებსა და შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის კომპლექსურ, პრაქტიკულ და რეგიონში არსებულ საზღვაო გამოწვევებზე მორგებულ თანამშრომლობას საჭიროებს. ამ თვალსაზრისით, რეალიზმის თეორიის ზომიერად გამოყენება გვეხმარება გეოპოლიტიკური კონტექსტის გასაანალიზებლად, რომელშიც საქართველოს საზღვაო ინტერესები ყალიბდება, ხოლო პოლიტიკის ანალიზი ასევე ეყრდნობა მედეგობის, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვისა და უსაფრთხოების კონტექსტში თანამშრომლობით კონცეფციებს.

არსებულ კომპლექსურ რეგიონულ გარემოში 1936 წელს ხელმოწერილი მონტროს კონვენცია შავი ზღვის უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტად რჩება. თურქეთის სრუტეებში გემების გავლის რეგულირებითა და აუზში არა შავი ზღვისპირა სახელმწიფოთა ხომალდების ყოფნის შეზღუდვით, კონვენცია თურქეთს რეგიონულ საზღვაო წესრიგში საკვანძო როლს ანიჭებს. იგი გარკვეულწილად ხელს უწყობს სტრატეგიულ სტაბილურობას, თუმცა ვერ უზრუნველყოფს რეგიონულ სტაბილურობასა და ძალთა ბალანსის შენარჩუნებას, თუკი აგრესიის წყარო უშუალოდ შავი ზღვისპირა სახელმწიფოდან მომდინარეობს. (Kanal Istanbul, n.d.; Republic of Türkiye Ministry of Foreign Affairs, 2023).

საერთო ჯამში, მიმოხილული ლიტერატურა მიუთითებს, რომ შავი ზღვა ერთდროულად უნდა იქნეს შეფასებული როგორც ეკონომიკური შესაძლებლობის, სტრატეგიული მოწყვლადობისა და სამხედრო-პოლიტიკური კონკურენციის სივრცე. წინამდებარე კვლევითი პროექტი აღნიშნულ აკადემიურ საფუძველზე დაყრდნობით

აყალიბებს საქართველოს ეროვნული საზღვაო ინტერესების ანალიზს. გეოპოლიტიკური, უსაფრთხოების თუ სატრანზიტო-სატრანსპორტო დაკავშირებადობის პერსპექტივების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცულობას, კრიტიკულ საზღვაო ინფრასტრუქტურას, რუსეთის სამხედრო ადაპტაციასა და ოჩამჩირის სადავო როლს, ჩრდილოვანი ფლოტის რისკებს, NATO-სთან თანამშრომლობასა და უფრო თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი ქართული საზღვაო უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების საჭიროებას.

მეთოდოლოგია

საქართველოს ეროვნული ინტერესების, უსაფრთხოების პოლიტიკისა და ეკონომიკური პერსპექტივების გასაანალიზებლად წინამდებარე დოკუმენტი იყენებს თვისებრივი კვლევის მეთოდებს. იგი ფოკუსირებას ახდენს საქართველოს საზღვაო ამბიციების, რეგიონული დაკავშირებადობის პროექტებისა და იმ ცვალებადი უსაფრთხოების გარემოს ურთიერთკავშირზე, რომლის ფორმირებაც რუსეთის სამხედრო აგრესიის, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის და 2008, 2014 და 2022 წლების მოვლენების შედეგად ჩამოყალიბდა რეგიონში.

ანალიზის პერიოდი ძირითადად მოიცავს 2008–2026 წლებს. გეოპოლიტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის შესაფასებლად 2008 წელი გარდამტეხ მომენტად განიხილება, რადგან რუსეთ-საქართველოს ომმა გამოიწვია ცივი ომის შემდგომი შავი ზღვის რეგიონში დამკვიდრებული სტატუს-კვოს რღვევა და პირდაპირი გავლენა მოახდინა საქართველოს სუვერენიტეტსა და საზღვაო უსაფრთხოების გარემოზე. 2014 წელს ყირიმის ოკუპაციამ და ანექსიამ კიდევ უფრო მეტად შეცვალა რეგიონული ძალთა ბალანსი, ხოლო 2022 წელს რუსეთის სრულმასშტაბიანმა შეჭრამ უკრაინაში შავი ზღვა აქტიურ საომარ ზონად აქცია, სადაც ტერიტორიული და პიროვნული ინტერესების გარდა, სისტემური, იდეოლოგიური და ეგზისტენციალური საკითხები დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ. შესაბამისად, კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 2022 წლის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა ეყრდნობა მიმოხილური წყაროების ოთხ კატეგორიას: საქართველოს სტრატეგიულ და პოლიტიკის დოკუმენტებს; ევროატლანტიკური და რეგიონული თანამშრომლობის ჩარჩო-დოკუმენტებს; შავი ზღვის უსაფრთხოების თემატიკაზე არსებულ აკადემიურ ლიტერატურას; ასევე შერჩეულ ანალიტიკურ წყაროებსა და ჟურნალისტური გამოძიების შედეგებს, რომლებიც ეხება რეგიონში

მიმდინარე პროცესებს, მათ შორის ოჩამჩირის ნავსადგურის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, რუსეთის საზღვაო ფლოტის ადაპტაციას, სანქციების გვერდის ავლის რისკებსა და შავ ზოვაზე რუსეთის ჩრდილოვანი ფლოტის აქტივობებს (GEO MFA, n.d.; Ifact, 2026).

წყაროები შეირჩა სამი კრიტერიუმის მიხედვით: მათი რელევანტურობა საქართველოს საზღვაო ინტერესებთან; ბოლო ათწლეულებში რეგიონში განხორციელებული მოვლენების კავშირი შავი ზღვის უსაფრთხოების გარემოს ტრანსფორმაციასთან; და რეგიონში ახალი შესაძლებლობების, სტრატეგიული ინტერესებისა და უსაფრთხოების გამოწვევების ერთმანეთისგან გასამიჯნად. სტრატეგიული დოკუმენტები გამოიყენება დეკლარირებული პოლიტიკური პრიორიტეტების გამოსაკვეთად, აკადემიური წყაროები ნაშრომს შესაბამის სამეცნიერო ჩარჩოებში ათავსებს, ხოლო ანალიტიკური ანგარიშები და ჟურნალისტური გამოძიების მასალები, წინამდებარე დოკუმენტში დებატებისა და ალტერნატიული არგუმენტების განვითარების შესაძლებლობას იძლევა (O'Brien, 2023).

წინამდებარე კვლევა, შერჩეულ წყაროებში წარმოდგენილ საკითხებს სამი ძირითადი ანალიტიკური კატეგორიის ფარგლებში აჯგუფებს:

1. **ეროვნული საზღვაო ინტერესები** - მოიცავს სუვერენიტეტისა და ტერიტორიულ მთლიანობის დაცვას, შეუფერხებელ წვდომას ზღვაზე, ნავსადგურებს, სატრანზიტო მარშრუტებს, ენერგეტიკულ დერეფნებს, წყალქვეშა კრიტიკულ ინფრასტრუქტურასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას.
2. **სტრატეგიული საფრთხეები და გამოწვევები** - მოიცავს რუსეთის შეირაღებული ძალებისა და უსაფრთხოების დანაყოფების ბაზირებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ოჩამჩირის პორტის შესაძლო გამოყენებას, ჰიბრიდულ რისკებს, სანქციების გვერდის ავლის საფრთხეებს, კიბერმოწყვლადობასა და კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურის დაცულობას (Daly, 2025; Komakhia & Aragelov, 2025; Vdovychenko, 2025).
3. **ახალი შესაძლებლობები** - მოიცავს ანაკლიას, რეგიონულ დაკავშირებადობას, საზღვაო სივრცის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, სანაპირო დაცვის შესაძლებლობების განვითარებას, უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესებას, NATO-ს სამხედრო კომპონენტებთან ურთიერთთავსებადობის ამაღლებასა და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კვლევა აერთიანებს ანალიტუკურ დოკუმენტებს, აკადემიურ ნაშრომებსა და პოლიტიკაზე ორიენტირებულ ინტერპრეტაციებს, რათა დაადგინოს საქართველოს ძირითადი საზღვაო ინტერესები შავ ზღვაზე და შეაფასოს, როგორ შეიძლება მათი დაცვა და განვითარება რეგიონში არსებული არასტაბილური უსაფრთხოების გარემოს პირობებში.

კვლევის შედეგები და შეფასებები

საქართველოს ეროვნული ინტერესები შავ ზღვაზე

საქართველოს ეროვნული ინტერესები შავ ზღვაზე შეიძლება სამ ურთიერთდაკავშირებულ კატეგორიად დაჯგუფდეს. ეს კლასიფიკაცია ხელს უწყობს იმ ინტერესების გამიჯვნას, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას და რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ განვითარებასა და საზღვაო ინფრასტრუქტურასთან; ასევე იმ ინტერესებისგან, რომლებიც ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას უკავშირდება.

პირველი - საქართველოს საზღვაო სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სუვერენიტეტის დაცვა. აღნიშნული მოიცავს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, ზღვაზე შეუფერხებელ წვდომას, ქვეყნის საზღვაო სივრცის უსაფრთხოებას, ნაოსნობის თავისუფლებას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის შემდგომი სამხედრო კონსოლიდაციის პრევენციას. ამ თვალსაზრისით, აფხაზეთის ოკუპაცია და ოჩამჩირის პორტის შესაძლო გამოყენება რუსეთის საზღვაო ან ლოგისტიკური მიზნებისთვის არ წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივ უსაფრთხოების გამოწვევას; იგი პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო სუვერენიტეტთან, რეგიონულ სტაბილურობასა და შავი ზღვის ერთიანი უსაფრთხოების არქიტექტურასთან.

მეორე - ეკონომიკური დაკავშირებადობა და ინფრასტრუქტურული ინტერესები. აღნიშნული მოიცავს პორტების, სატრანზიტო-სატრანსპორტო მარშრუტების, ენერგეტიკული დერეფნების, წყალქვეშა ელექტრო გადამცემი კაბელების, ციფრული ლოგისტიკური სისტემებისა და კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და დაცვას. პროექტები, როგორებიცაა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა და დაგეგმილი მწვანე ენერგიის პროექტის განვითარება, ემსახურება ქვეყნის ამბიციური მიზნებს - გააძლიეროს საკუთარი როლი როგორც სატრანზიტო, ლოგისტიკური და ენერგეტიკული ხიდი ცენტრალურ აზიას, სამხრეთ კავკასიასა და ევროპას შორის. თუმცა, ამავდროულად ხსენებული პროექტები ზრდის საქართველოს

საზღვაო ინფრასტრუქტურის სტრატეგიულ მნიშვნელობასა და პოტენციურ მოწყვლადობას რეგიონული საფრთხეებისადმი (Koridze, 2026; GEO MFA, n.d.).

მესამე, საქართველოს ინსტიტუციური და საგარეო-პოლიტიკური ინტერესები, რომლებიც უკავშირდება ქვეყნის ევროატლანტიკურ ორიენტაციას. საზღვაო უსაფრთხოება პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს სტრატეგიულ მიზანთან - გაწევრიანდეს NATO-ში და სრულად ინტეგრირდეს ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში. ეს კი მოიცავს საქართველოს წვლილის შენარჩუნებასა და გაძლიერებას NATO-ს მისიებში, ოპერაციებსა და შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აქტივობებში; მოკავშირე ძალებთან და NATO-ს სამხედრო სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთთავსებადობის ამძღვრებას; ასევე შავი ზღვის აუზის პარტნიორ და მოკავშირე სახელმწიფოებთან პრაქტიკული თანამშრომლობის გაძლიერებასა და ინფორმაციის გაზიარების მექანიზმების განვითარებას (O'Brien, 2023; Task Force on the Black Sea Security, 2023).

ზემოხსენებული კლასიფიკაცია აჩვენებს, რომ საქართველოს საზღვაო სივრცე არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც ვიწრო კომერციული ან მხოლოდ სანაპირო საკითხი. იგი წარმოადგენს სტრატეგიულ განზომილებას, სადაც ქვეყნის სუვერენიტეტი, რეგიონული უსაფრთხოება, ეკონომიკური მედეგობა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და ევროატლანტიკური ინტეგრაცია მჭიდროდ უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული. შესაბამისად, საზღვაო ინფრასტრუქტურა უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ეკონომიკური აქტივი, არამედ როგორც პოტენციური სამიზნე, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი და ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი კომპონენტი. მისი დაცვა არ უნდა იზომებოდეს მხოლოდ საქართველოს სანაპირო დაცვის შესაძლებლობებით, არამედ ის არის უფრო ფართო ეროვნული უსაფრთხოების განზომილება, რომელიც უწყვეტ რეჟიმში უწყებათაშორის კოორდინაციასა და პარტნიორ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობას საჭიროებს.

სტრატეგიული გამოწვევები: რუსეთის სამხედრო განლაგება რეგიონში, ოჩამჩირე და კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურა

საქართველოს საზღვაო სივრცესა და მის უსაფრთხოებაზე პირდაპირ გავლენას ახდენს რუსეთის სამხედრო ოკუპაცია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სანაპირო ზოლი შედარებით მოკრძალებული ზომისაა განსაკუთრებით ოკუპაციის პირობებში, მისი ადგილმდებარეობა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე საქართველოს ანიჭებს

სტრატეგიულ მნიშვნელობას, რომელიც ბევრად აღემატება მისი საზღვაო სივრცის ფიზიკურ ზომას¹. ოკუპაცია ზღუდავს ცენტრალური ხელისუფლების მიერ საქართველოს საზღვაო სივრცის აფხაზეთის მონაკვეთზე ეფექტურ კონტროლს, რის გამოც საქართველოს საზღვაო სივრცის აღნიშნული მონაკვეთი ხშირად „შავ ხვდელადაც“ კი მოიხსენიება. შესაბამისად, ოკუპირებულ აფხაზეთში ოჩამჩირის პორტის შესაძლო გამოყენება რუსეთის სამხედრო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურული ინტერესებისთვის, უნდა შეფასდეს როგორც რუსეთის მიერ ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად, რომელიც შავი ზღვის რეგიონში რუსეთის სასარგებლოდ ახალი სტატუს კვოს შექმნა-შენარჩუნებას უწყობს ხელს (Davitaia, 2016; Koridze, 2026).

ოჩამჩირის პორტის მნიშვნელობა არ უნდა იქნას გადაჭარბებულად შეფასებული, როგორც ახალი სევასტოპოლი ან როგორც რუსეთის შავი ზღვის ფლოტის მთავარი საზღვაო ბაზა. ნავსადგურის ინფრასტრუქტურა, აკვატორიის სიღრმე, შეზღუდული სახმელეთო დაკავშირებადობა და ფლოტის ხმელეთის მხრიდან უსაფრთხოების უზრუნველყოფის კრიტიკული მნიშვნელობა, ნაკლებად სავარაუდოს ხდის მსხვილი საინვესტიციო პროექტების გარეშე ასეთი სცენარის განვითარებას. თუმცა, ოჩამჩირის როლი ვერ იქნება სტრატეგიულ მნიშვნელობას მოკლებული, ვინაიდან მისი შეზღუდული ლოგისტიკური შესაძლებლობა - როგორც მცირე ზომის გემებისთვის დამატებითი ბაზირების პუნქტი, (მათ შორის: საპატრულო საშუალებები, ბუქსირები, საწვავ-საპოხი და ზოგადი ლოგისტიკური მომარაგების ხაზი), რუსეთს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში საკუთარი მცურავი საშუალებების გაშლა-გადასროლის ალტერნატიულ შესაძლებლობას აძლევს (Tabula, 2024).

ამრიგად, ოჩამჩირის პორტს მისი ლიმიტირებული ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების მიუხედავად, მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სამართლებრივი და სიმბოლური დატვირთვა აქვს. რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ მისი პოტენციური გამოყენება, გააღრმავებს ოკუპირებული აფხაზეთის მილიტარიზაციას, გააძლიერებდა რუსეთის ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე და გაზრდის ქვეყნისთვის საფრთხის რისკებს, ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან ახლოს მათი ძალების მობილიზებით. შესაბამისად, სამხედრო საჭიროებებზე პორტის თუნდაც

¹ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლი დაახლოებით 310 კილომეტრია; თუმცა, მისი თითქმის ორი მესამედი - დაახლოებით 195 კმ - აფხაზეთის რეგიონის ოკუპაციის გამო ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიღმა მდებარეობს.

შეზღუდულ ადაპტაციასაც კი საქართველოსთვის არაპროპორციულად დიდი მნიშვნელობა ექნება, რაც ერთმანეთთან კიდევ უფრო მეტად დააკავშირებს ქვეყნის ოკუპაციას კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურის მოწყვლადობასთან და საზღვაო უსაფრთხოებას რუსეთის ფედერაციის მიერ შავი ზღვის რეგიონის დესტაბილიზებასა და ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის შეზღუდვასთან (Daly, 2025; Komakhia & Araqelov, 2025; RISS, 2025).

ამ გამოწვევების ფონზე იზრდება საქართველოს ეკონომიკური დაკავშირებადობა და ინფრასტრუქტურული ინტერესები. ისეთი პროექტები, როგორებიცაა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა და ელექტროგადამცემი კაბელების გაყვანა შავ ზღვაში, მიზნად ისახავს საქართველოს სტრატეგიული როლის გაზრდას, მისი მნიშვნელობის გაძლიერებას შუა დერეფანსა და უფრო ფართო ევრაზიული დაკავშირებადობის არქიტექტურაში. თუმცა, ამავდროულად არ უნდა დარჩეს სათანადო შეფასების მიღმა ის უსაფრთხოების რისკები, რომლებიც უკავშირდება აფხაზეთთან გამყოფი ხაზიდან ანაკლიის სიახლოვეს, ასევე ოკუპირებულ რეგიონში განლაგებული რუსეთის საოკუპაციო ძალებისა და უსაფრთხოების სამსახურებიდან მომდინარე პოტენციურ საფრთხეებს (Ifact, 2026; Koridze, 2026).

საგულისხმოა, რომ საზღვაო ინფრასტრუქტურა - პორტების, ნავთობტერმინალების, მილსადენების, სანაოსნო მარშუტების, წყალქვეშა კაბელების და ციფრული ლოგისტიკური სისტემების ჩათვლით, აღარ წარმოადგენს სახელმწიფოსთვის მხოლოდ ეკონომიკურ აქტივებს. არასტაბილურ საზღვაო უსაფრთხოების გარემოში ისინი შეიძლება იქცეს ზეწოლის, კიბერშეტევების, საბოტაჟის, სანქციების გვერდის ავლის და/ან ზღვაზე უკანონო საქმიანობის განხორციელების სამიზნეებად. შესაბამისად, საქართველოს სტრატეგიულ გამოწვევას წარმოადგენს უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული პროექტების თანხვედრა უსაფრთხოებისა და დაცვის შესაბამის მექანიზმებთან - უწყებათაშორისი კოორდინაციითა და საერთაშორისო თანამშრომლობით რეგულარული წვრთნებისა და კრიტიკულად მნიშვნელოვანი შესაძლებლობების დანერგვა-განვითარებით.

აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალურია რუსეთის ჩრდილოვანი ფლოტის აქტივობებისა და სანქციებთან დაკავშირებული რისკების პრევენცია და აღკვეთა, რომელსაც რეპუტაციული მნიშვნელობა გააჩნია სახელმწიფოსთვის. რუსეთი სულ უფრო მეტად ეყრდნობა გაუმჭვირვალე საზღვაო ქსელებს, ზღვაზე ავტომატური იდენტიფიცირების სისტემის (AIS) და მცურავი საშუალებების ფლობა/რეგისტრაციის

მანიპულაციას და მსგავს საექვო ოპერაციებს ზღვაზე, ენერგორესურსების ექსპორტის უზრუნველყოფისა და სასანქციო ზეწოლა/შეზღუდვების თავიდან აცილების მიზნით. ამრიგად, საპორტო ოპერაციების მართვა, გამჭვირვალობა, ზღვაზე ანომალიების შესწავლა და მათზე რეაგირება და სანქციებთან შესაბამისობის ზედამხედველობა, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილად და დასავლეთის სანდო პარტნიორის სტატუსის მტკიცების საბაზად იქცა (Ifact, 2026; Vdovychenko, 2025).

და ბოლოს, საქართველოს საზღვაო უსაფრთხოება მჭიდროდ უკავშირდება მის ევროატლანტიკურ ორიენტაციას. NATO-ს შენაერთებსა და მოკავშირე სახელმწიფოებთან პრაქტიკულ თანამშრომლობას, მათ შორის საზღვაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ აქტივობებს, საპორტო ვიზიტებს, ერთობლივ წვრთნებს, ინფორმაციის გაზიარებასა და ურთიერთთავსებადობის ამაღლებას, შეუძლია გააძლიეროს საქართველოს მედეგობა რეგიონულ საფრთხეებზე და ამავდროულად წარმოაჩინოს ქვეყანა როგორც დასავლეთის ღირსეული პარტნიორი. ურთიერთთავსებადობა არ უნდა იქნას გაგებული მხოლოდ როგორც სამხედრო-ტაქტიკური განზომილება; იგი ასევე მოიცავს თავსებად დაგეგმვის პროცედურებს, კომუნიკაციის სტანდარტებს, კრიზისების მართვის პრაქტიკა-გამოცდილების გაზიარებას და მოკავშირე ძალებთან ეფექტური ურთიერთქმედებას. NATO-ს მისიებსა და ოპერაციებში, მათ შორის შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ აქტივობებში საქართველოს წვლილის შენარჩუნება-გაძლიერება ხელის შემწყობი იქნება როგორც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებზე რეაგირების ისე საგარეო პოლიტიკური მიზნის მიღწევაში, რაც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას ითვალისწინებს.

ახალი შესაძლებლობები: ანაკლია, რეგიონული დაკავშირებადობა და საზღვაო მედეგობა

ზემოთ აღნიშნული უსაფრთხოების რისკების მიუხედავად, შავი ზღვა საქართველოსთვის მნიშვნელოვან ახალ შესაძლებლობებსაც ქმნის. ეს შესაძლებლობები უკავშირდება ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, მის როლს აღმოსავლეთ-დასავლეთის დაკავშირებადობაში, პორტებსა და სატრანსპორტო დერეფნებთან, ასევე ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის გრძელვადიან ამბიციებს. ამ შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენება ძალუძს სახელმწიფოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო საზღვაო სივრცეს განიხილავს როგორც ეროვნული

უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილს და არა მხოლოდ როგორც ეკონომიკური ან კომერციული საქმიანობის წყაროს.

პირველი შესაძლებლობა უკავშირდება საქართველოს როლის გაძლიერებას რეგიონულ დაკავშირებადობაში. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ინფრასტრუქტურული პროექტი, სატრანსპორტო დერეფნების მოდერნიზაცია, ლოგისტიკური სისტემების გაციფრულება და „მწვანე ენერგიის“ პროექტს შეუძლია გააძლიეროს საქართველოს სტრატეგიული დაკავშირებადობის როლი - შეასრულოს სატრანზიტო, ლოგისტიკური და ენერგეტიკული ხიდის ფუნქცია ცენტრალურ აზიას, სამხრეთ კავკასიასა და ევროპას შორის. ეფექტურად განხორციელების პირობებში, ანაკლია გააძლიერებს საქართველოს როლს შუა დერეფანში, გაზრდის ქვეყნის ლოგისტიკურ მნიშვნელობას ევროპული და აზიური ბაზრებისთვის და შეამცირებს დამოკიდებულებას უფრო მოწყვლად სატრანზიტო მარშრუტებზე. თუმცა, მისი გრძელვადიანი ღირებულება დამოკიდებული იქნება ღია და გამჭვირვალე მმართველობაზე, სანდო ინვესტიციებზე, ანაკლიის პორტის ქვეყნის კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურისა და ფართო რეგიონულ სატრანსპორტო ქსელებში ინტეგრაციაზე (Anaklia Development Consortium, n.d.; Kvrivishvili, 2026; Koridze, 2026).

შავი ზღვის გავლით ელექტროგადამცემი კაბელების მშენებლობის პროექტი ასევე ასახავს საქართველოს პოტენციურ როლს ევროპის ენერგეტიკული მედეგობის დღის წესრიგში. შავი ზღვის მეშვეობით სამხრეთ კავკასიის ევროპასთან დაკავშირებით, პროექტს შეუძლია ხელი შეუწყოს ენერგეტიკულ დივერსიფიკაციას, განახლებადი ენერგიის მიწოდებას და უფრო ღრმა ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირთან. თუმცა, პორტებისა და მილსადენების მსგავსად, წყალქვეშა კაბელებიც კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურის ნაწილია. მათი დაცვა მუდმივ რეჟიმში მოითხოვს ზღვაზე ეფექტურ მონიტორინგს, კიბერშეტევებისგან მედეგ ინფრასტრუქტურას, ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და პარტნიორ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობას (Gamkrelidze, 2024; Georgian State Electrosystem Ltd., n.d.).

მეორე შესაძლებლობა უკავშირდება საქართველოს უნარს, თავი წარმოაჩინოს როგორც რეგიონული საზღვაო უსაფრთხოების ხელის შემწყობი აქტორი. უკრაინაში მიმდინარე ომმა აჩვენა, რომ საზღვაო მარშრუტების, ნავსადგურების, ენერგეტიკული და წყალქვეშა ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება ვერ გაიმიჯნება ერთმანეთისგან და ისინი გავლენას ახდენს რეგიონში სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე. საქართველოს შეუძლია გააძლიეროს საკუთარი როლი საზღვაო სივრცის შესახებ ცნობიერების ამაღლებით, შავი

ზღვის აუზის პარტნიორ და მოკავშირე სახელმწიფოებთან ინფორმაციის გაზიარების მექანიზმების გაუმჯობესებით და შავი ზღვის უსაფრთხოებაში საკუთარი წვლილის შეტანით.

ეს უკანასკნელი კი უფრო პროაქტიულ ჩართულობას მოითხოვს რეგიონში. საქართველომ უნდა გააღრმავოს პრაქტიკული თანამშრომლობა მოკავშირე სახელმწიფოებთან, მეზობელ ქვეყნებთან შავი ზღვაზე და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან - ერთობლივი წვრთნების, საზღვაო სწავლებების, სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლის, პროფესიული გამოცდილების გაზიარების, საპორტო ვიზიტებისა და რეგიონული ფორუმების ორგანიზება/მათში მონაწილეობის მეშვეობით. არსებული მექანიზმები, რომლებიც NATO-თან თანამშრომლობას უწყობს ხელს, უფრო სტრატეგიულად უნდა იქნას გამოყენებული, მათ შორის ურთიერთთავსებადობის გაუმჯობესების შესაძლებლობები და საერთო გამოწვევებზე კოორდინირებული რეაგირების მექანიზმები, როგორებიცაა მცურავი ნაღმები ზღვაზე, უპილოტო საზღვაო თუ საფრენი აპარატები, ჰიბრიდული საზღვაო აქტივობა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მოწყვლადობა (Steamship Mutual, 2023; Task Force on the Black Sea Security, 2023). ამ თვალსაზრისით, საქართველომ ასევე მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ერთწლიანი დიპლომატიური ნებართვები, რომელსაც ქვეყანა რამდენიმე წელია ყოველწლიურად განახლებადი პრინციპით სთავაზობს NATO-ს დროშის ქვეშ მცურავ საზღვაო პლატფორმებს, რაც ალიანსის სამხედრო კომპონენტებს საშუალებას აძლევს, მონტროს კონვენციის შეზღუდვების გათვალისწინებით ისარგებლონ საქართველოს პორტებითა და ნავსადგურებით (NATO, 2019; Republic of Türkiye Ministry of Foreign Affairs, 2023).

მესამე შესაძლებლობა უკავშირდება საქართველოს ევროატლანტიკურ ორიენტაციას. NATO-სა და მოკავშირე სახელმწიფოებთან ინდივიდუალურად საზღვაო უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას შეუძლია პრაქტიკული ღირებულება ჰქონდეს ალიანსის ფორმალური წევრობის მიღმაც. საპორტო ვიზიტები, წვრთნები, სწავლებები, ინფორმაციის გაზიარება, ურთიერთთავსებადობის ამალგების შესაძლებლობები და NATO-ს მისიებსა და ოპერაციებში საკუთარი წვლილის შეტანა აძლიერებს საქართველოს საზღვაო უსაფრთხოების სუბიექტებს და რითაც ასევე ადასტურებს ქვეყნის ურყევ პოლიტიკურ ერთგულებას ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი. ამრიგად, საზღვაო სივრცე საქართველოს აძლევს პრაქტიკულ შესაძლებლობას, საქმით დაამტკიცოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისადმი საკუთარი ერთგულება და სანდო პარტნიორობა ზოგადად დასავლეთისადმი.

მეოთხე შესაძლებლობა უკავშირდება ტექნოლოგიურ ადაპტაციას. უკრაინის გამოცდილებამ აჩვენა ხელოვნური ინტელექტის (AI), უპილოტო სისტემების, დრონებისა და დრონსაწინააღმდეგო საშუალებების, კიბერუსაფრთხოებისა და შრომობრივი სანაპირო თავდაცვის სისტემების მზარდი მნიშვნელობა. საქართველოს, შეზღუდული რესურსებისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიებზე ადაპტაცია საკუთარი უსაფრთხოების არქიტექტურის გასაძლიერებლად, რაც ამავე დროს თანხვედრაში უნდა იყოს შესაბამისი პერსონალის მომზადებასთან, დოქტრინულ განახლებასთან, უწყებათაშორის კოორდინაციასა და ტექნოლოგიების სისტემურ ინტეგრაციასთან. (Davlianova & Vdovychenko, 2025; RISS, 2025).

შესაბამისად, საქართველოს თანამედროვე საზღვაო პოლიტიკა ეფექტურობა დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა საკუთარი ეკონომიკური ამბიციები დაუკავშიროს რეგიონში არსებულ საზღვაო გამოწვევებს. ისეთი ინიციატივები, როგორებიცაა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისა და „მწვანე ენერგიის“ პროექტები, შავი ზღვის რეგიონში საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას ზრდის; თუმცა მათი გრძელვადიანი ფუნქცია დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მოხდება საზღვაო უსაფრთხოების გამოწვევების ეროვნული პოლიტიკის დაგეგმვაში გათვალისწინება, მდგრადი ინსტიტუციური კოორდინაცია, საზღვაო სისტემების განვითარება და შავ ზღვაზე პარტნიორ და მოკავშირე სახელმწიფოებთან გრძელვადიანი და ურყევი თანამშრომლობა.

რეკომენდაციები

ზემოთ წარმოდგენილი კვლევის ანალიზი მიუთითებს, რომ საქართველოს საზღვაო ინტერესები შავ ზღვაზე საჭიროებს რეალისტურ და თანმიმდევრულ მიდგომებს სახელმწიფოს მხრიდან. საქართველოს შეზღუდული რესურსებისა და შავი ზღვის რეგიონში არსებული რთული გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ქვეყნის საზღვაო ინტერესებთან დაკავშირებული პრიორიტეტული მიმართულებები დაიყოს მათი გადაუდებლობის, ინსტიტუციური განხორციელებადობისა და გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიხედვით. ამ ლოგიკით წარმოდგენილი რეკომენდაციები შეიძლება დაიყოს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პრიორიტეტებად (O'Brien, 2023).

მოკლევადიანი პრიორიტეტები:

საქართველომ უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ყოვლისმომცველი ეროვნული საზღვაო უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც შესაბამისი სამოქმედო გეგმებით ერთმანეთთან დააკავშირებს საზღვაო უსაფრთხოებას, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას, პორტების განვითარებას, ეკონომიკურ დაკავშირებადობას, კიბერუსაფრთხოებას, სანქციებთან შესაბამისობის საზედამხედველო მექანიზმებსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ურთიერთქმედებას ზღვაზე. ასეთი დოკუმენტი ხელს შეუწყობს ქვეყნის საზღვაო ინტერესებთან დაკავშირებით თანმიმდევრულ პოლიტიკას და საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ჩართული სახელმწიფო სუბიექტების როლისა და ურთიერთქმედების მიმართულებების უფრო მკაფიოდ განსაზღვრას (Vdovychenko, 2025).

ქვეყანამ ასევე უნდა გააძლიეროს უწყებათაშორისი კოორდინაცია როგორც შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის, ისე თავად ამ უწყებებს შიგნით. საზღვაო უსაფრთხოება მოიცავს თავდაცვის სექტორს, სანაპირო დაცვას, დაზვერვისა და ზოგადად უსაფრთხოების სამსახურებს, საბაჟო უწყებასა და პორტების ადმინისტრაციებს, ქვეყანაში კიბერუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ დანაყოფებს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და შესაბამის სამინისტროებს. გაუმჯობესებული უწყებათაშორისი კოორდინაცია გააძლიერებს ზღვიდან მომდინარე საფრთხეების ადრეული გაფრთხილების, კრიზისებზე რეაგირების, საზღვაო მონიტორინგის, პორტების მართვისა და კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურის დაცვის მექანიზმებს.

მოკლევადიან პრიორიტეტებს განეკუთვნება ასევე პორტების მართვისა და სანქციებთან შესაბამისობის საზედამხედველო მექანიზმების გაუმჯობესება. სანქციების გვერდის ავლის მიზნით რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებული კომპლექსური მექანიზმები ადასტურებს, რომ პორტების გამჭვირვალობა დღეს უკვე ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების ინტერესის საგანს წარმოადგენს. საქართველომ უნდა შეამციროს რისკები, რომ მისი ნავსადგურები, საზღვაო სერვისები და მასთან დაკავშირებული კომპანიები უშუალოდ ან ირიბად არ აღმოჩნდნენ უკანონო საზღვაო ქსელების ზემოქმედების ქვეშ. ძლიერი საზედამხედველო მექანიზმები დაიცავს საქართველოს საერთაშორისო ინტერესებს, ქვეყნის რეპუტაციასა და ხელს შეუწყობს მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში უკრაინის წარმატებას (Koridze, 2026).

საქართველოსთვის ასევე არსებითად მნიშვნელოვანია საზღვაო სივრცის შესახებ ცნობიერების ამაღლება. ეს მოიცავს სანაოსნო მარშრუტების უკეთ მონიტორინგს,

საზღვაო სურათთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარების მექანიზმების დახვეწას, ზღვაზე რისკების შეფასებას, ღია წყაროებიდან მოპოვებული და პარტნიორი სახელმწიფოებისგან მოწოდებული სადაზვერვო მონაცემების ეფექტურ გამოყენებას და უფრო მჭიდრო თანამშრომლობას შავი ზღვის აუზისა და ალიანსის წევრ ქვეყნებთან. აღნიშნული საქართველოს დაეხმარება ზღვაზე საექვო და მტრულ აქტივობებზე მყისიერი რეაგირების მექანიზმების დახვეწაში და ამით ერთიანი შავი ზღვის უსაფრთხოების ხელშეწყობაში (Steamship Mutual, 2023).

საშუალოვადიანი პრიორიტეტები:

საქართველომ უნდა გააძლიეროს ქვეყნის სანაპირო დაცვის ოპერაციული შესაძლებლობები, განსაკუთრებით საზღვაო მონიტორინგის, ზღვაზე პატრულირების, ძებნა-გადარჩენის, კანონდარღვლებითი, კრიზისებზე რეაგირებისა და საზღვაო ინფრასტრუქტურის დაცვის მიმართულებებით. აღნიშნული მოიაზრებს უწყების შესაძლებლობების მიზნობრივ განვითარებას, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ტექნოლოგიების დანერგვას, რეალურ დროში მონაცემთა გაცვლის მიზნით უსაფრთხო საკომუნიკაციო სისტემების ინტეგრირებას და პარტნიორ სახელმწიფოთა სამხედრო-საზღვაო ძალებსა და სანაპირო დაცვის სამსახურებთან ურთიერთთავსებადობის ამაღლებასა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას (Flanagan et al., 2020; O'Brien, 2023; Task Force on the Black Sea Security, 2023).

საქართველომ ასევე უნდა განავითაროს კიბერუსაფრთხოების ლოგისტიკური, საბაჟო და პორტების მართვის სისტემები. პორტებისა და სატრანსპორტო დერეფნების მზარდი დიგიტალიზაციის პირობებში, კიბერსაფრთხოებზე მოწყვლადობას შეუძლია პირდაპირი გავლენა იქონიოს ვაჭრობაზე, უსაფრთხოებასა და კრიზისების მართვის შესაძლებლობებზე. შესაბამისად, ციფრული საბაჟო პროცედურების, პორტების მართვისა და ლოგისტიკური სისტემების დაცვა კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურის დაცვის ნაწილად უნდა განიხილებოდეს.

საქართველომ უნდა გააძლიეროს პრაქტიკული თანამშრომლობა NATO-სთან, შავი ზღვის აუზის პარტნიორ და მოკავშირე სახელმწიფოებთან - წვრთნების, სწავლებების, ინფორმაციის ურთიერთგაცვლის, პროფესიული გამოცდილების გაზიარების, საპორტო ვიზიტების, ურთიერთთავსებადობის ამაღლებისა და შესაბამის რეგიონულ უსაფრთხოების ფორუმებში მონაწილეობა/მასპინძლობის გზით. საქართველომ უნდა ისარგებლოს შესაძლებლობით და სტრატეგიული მიზნებისთვის გამოიყენოს მის ხელთ

არსებული ისეთი მექანიზმები, რომლებიც ალიანსთან თავსებადობას უწყობს ხელს, მათ შორის საქართველოს ნავსადგურებით სარგებლობის მიზნით NATO-ს დროშის ქვეშ მცურავი ხომალდებისთვის გაცემული და ყოველწლიურად განახლებადი დიპლომატიური ნებართვების გზით (NATO, 2019).

საშუალოვადიან პრიორიტეტს ასევე წარმოადგენს საქართველოს პრაქტიკული წვლილის შენარჩუნება და შემდგომი გაძლიერება NATO-ს მისიებში, ოპერაციებსა და შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მოკავშირე სახელმწიფოთა ერთობლივ აქტივობებში. აღნიშნული წვლილი აჩვენებს, რომ ქვეყანა არ არის მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელი, არამედ ის ფართო ევროატლანტიკური უსაფრთხოების კონტრიბუტორის როლსაც ასრულებს. ამ თვალსაზრისით, საქართველოს საზღვაო უსაფრთხოების დღის წესრიგი პირდაპირ კავშირშია ქვეყნის NATO-ში ინტეგრაციის პოლიტიკასთან.

და ბოლოს, საქართველომ უნდა დანერგოს უპილოტო და დრონ-საწინააღმდეგო თანამედროვე სისტემები, აამაღლოს მათ შესახებ ცნობიერება, შესაბამისი მომზადებითა და რეაგირების მექანიზმების ინტეგრაციით. უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ომმა აჩვენა უპილოტო სისტემების, AI ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მონიტორინგისა და დრონ-საწინააღმდეგო სისტემების მზარდი მნიშვნელობა საზღვაო და სანაპირო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ტექნოლოგიური ადაპტაცია საქართველოს შეუძლია საკუთარი მასშტაბის, უსაფრთხოების გამოწვევებისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით (Davlikanova & Vdovychenko, 2025; RISS, 2025).

გრძელვადიანი პრიორიტეტები:

გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველომ უნდა განავითაროს სანაპირო და ზღვაზე თავდაცვის შესაძლებლობები, რომელიც დაეფუძნება სისტემურ მონიტორინგს ყველა განზომილებაში (ხმელეთი, ცა, ზღვა, წყალქვეშ), ადრეული გაფრთხილების ტექნოლოგიას, მობილურ და საინჟინრო სისტემებს, ტექნოლოგიურ მოდერნიზაციასა და პარტნიორებთან თანამშრომლობას. ასეთი ხედვა არ უნდა იქნას აღქმული როგორც კონვენციური საზღვაო ძალების შექმნის მცდელობა, არამედ როგორც გამოწვევა და საჭიროება ზღვაზე შეკავების მექანიზმების გასაძლიერებლად, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დასაცავად და საქართველოს საზღვაო სივრცეში უკანონო და მტრული აქტივობების პრევენცია/აღსაკვეთად.

გრძელვადიანმა დაგეგმვამ ასევე პრიორიტეტად უნდა აქციოს კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურის დაცვა - პორტების, ნავთობტერმინალების, საზღვაო-სატრანსპორტო დერეფნების, მილსადენებისა და კაბელების, წყალქვეშა ინფრასტრუქტურისა და ციფრული დაკავშირებადობის სისტემების ერთობლიობით. ეს მიმართულებები კრიტიკულად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკისთვის, არამედ რეგიონული დაკავშირებადობისა და მედეგი ენერგეტიკული ქსელის უზრუნველსაყოფად.

საქართველომ უნდა მოახდინოს შერჩეული ახალი ტექნოლოგიების ეტაპობრივი სისტემური ინტეგრაცია; მათ შორის არის უპილოტო სისტემები, უპილოტო სისტემების საწინააღმდეგო საშუალებები, AI-ზე დაფუძნებული მონიტორინგის საშუალებები, კიბერმედეგი ინფრასტრუქტურის დაცვის მექანიზმები და მონიტორინგის გაუმჯობესებული შესაძლებლობები. ასეთი ტექნოლოგიების დანერგვა უნდა იყოს საჭიროებებზე მორგებული და თან ახლდეს დოქტრინული გეგმები და ამოცანები, შესაბამისი მომზადება, ტექნიკური მომსახურების შესაძლებლობები და უწყებათაშორისი სწავლებები.

საქართველომ უნდა გააღრმავოს ურთიერთთავსებადობა NATO-ს სამხედრო კომპონენტებთან დაგეგმვის პროცედურების, კომუნიკაციების სისტემების, მომზადების დონისა და ოპერაციული კოორდინაციის სტანდარტიზების გზით. აღნიშნული უნდა ავსებდეს საქართველოს წვლილს NATO-ს მისიებსა და ოპერაციებში, მათ შორის საზღვაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ აქტივობებში. ინსტიტუციურ ინტეგრაციაზე ორიენტირებული ურთიერთთავსებადობა წარმოაჩენს საქართველოს როგორც სანდო პარტნიორად, გააძლიერებს მის როლს შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში და ხელს შეუწყობს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნის მიღწევას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებით (Miller, 2024).

ერთობლიობაში, წინამდებარე რეკომენდაციები მიზნად ისახავს, რომ საქართველოს ეკონომიკური ამბიციები თანხვედრაში იყოს ზღვაზე არსებულ გამოწვევებსა და ქვეყნის საზღვაო შესაძლებლობებთან. ქვეყნის საზღვაო პოტენციალის გათვალისწინებით ცენტრალურ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ პორტების, სატრანზიტო-სატრანსპორტო დერეფნებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, არამედ იმის უზრუნველყოფაც, რომ ისინი დაცული იყოს ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტებით, სანდო საერთაშორისო პარტნიორობით, ტექნოლოგიური ადაპტაციითა და შავ ზღვაზე არსებული საზღვაო უსაფრთხოების გარემოს რეალისტური გააზრებით.

დასკვნა

შავი ზღვის თანამედროვე უსაფრთხოების არქიტექტურა ფუნდამენტურად შეცვალა უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ომმა, შავი ზღვის ფართო მილიტარიზაციამ და საზღვაო ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო დერეფნებისა და ენერგეტიკული მარშრუტების რეგიონული საფრთხეებისადმი მოწყვლადობამ. ამ პროცესებმა აჩვენა, რომ შავი ზღვა არ არის მხოლოდ რეგიონული მნიშვნელობის საზღვაო აკვატორია; არამედ წარმოადგენს სტრატეგიულ არენას, სადაც სუვერენული ინტერესები, ევრაზიული დერეფნის და ენერგეტიკული უსაფრთხოება, სამხედრო ძალა და წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო სისტემა სულ უფრო მეტად იკვეთება (Courtney, 2023).

საქართველოსთვის აღნიშნულ ტრანსფორმაციას პირდაპირი ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელობა აქვს. თუკი ქვეყნის საზღვაო ინტერესები დაკავშირებულია პორტებთან, საზღვაო ვაჭრობასა და ქვეყნის სატრანსპორტო-სატრანზიტო პოტენციალთან, უსაფრთხოების გამოწვევებს წარმოადგენს ქვეყნის ოკუპაცია, რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და უსაფრთხოების სამსახურების მიერ ოჩამჩირის პორტის შესაძლო გამოყენება, კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურის დაცვა და რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებები (EU NEIGHBOURSEAST, 2024). ამრიგად, ნაშრომში გამოიკვეთა, რომ საქართველოს ეროვნული საზღვაო ინტერესების გააზრება უნდა მოხდეს სამი ურთიერთდაკავშირებული განზომილების ერთობლიობით; ესენია: 1. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სუვერენიტეტის დაცვა; 2. სტრატეგიული მილსადენების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რეგიონული მნიშვნელობის ახალი პროექტების განხორციელება, ევრაზიული სატრანზიტო დამაკავშირებელი საკვადო როლის შესრულება; 3. ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული ინსტიტუციური თუ საგარეო-პოლიტიკური მიზნების მიღწევა (Daly, 2025; Komakhia & Araquelov, 2025).

აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ შავი ზღვის რეგიონში საქართველოსთვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ფანჯარის გახსნის პირობებში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია გააზრებულ და გათვალისწინებულ იქნას თანმდევი რისკები და გამოწვევები. ანაკლიას, სატრანსპორტო დერეფნების მოდერნიზაციასა და „მწვანე ენერგიის“ პროექტს შეუძლია გააძლიეროს საქართველოს პოზიცია ფართო ევრაზიული დაკავშირებადობის არქიტექტურაში. თუმცა, იმავე ინფრასტრუქტურამ შეიძლება ასევე გაზარდოს ქვეყნის მოწყვლადობა ჰიბრიდული საფრთხეებისა და კიბერდანაშაულების

მიმართ, ხოლო სანქციების გვერდის ავლის ქსელების შესაძლო ტოლერირებას, შეუძლია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკური ვექტორის კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენება (Anaklia Development Consortium, n.d.; Georgian State Electrosystem Ltd., n.d.).

ოჩამჩირის შემთხვევა ნათლად მიუთითებს ოკუპაციას, საზღვაო უსაფრთხოებასა და რუსეთის ადაპტირებად საზღვაო შესაძლებლობებს შორის ურთიერთკავშირზე. მიუხედავად იმისა, რომ ოჩამჩირის პორტი არ უნდა შეფასდეს გადაჭარბებულად, როგორც სევასტოპოლის ბაზის ექვივალენტი, მისი შესაძლო გამოყენება შეზღუდულ-ლოგისტიკურ ან დამხმარე კვანძად, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სამართლებრივ და სტრატეგიულ შედეგებს გამოიწვევს. მისი მნიშვნელობა მდგომარეობს არა მხოლოდ შესაძლო სამხედრო ფუნქციაში, არამედ ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ყოფნის უფრო ფართო ნორმალიზებასა და იმ რისკებში, რომელსაც ეს საქართველოს სუვერენიტეტსა და რეგიონულ სტაბილურობას უქმნის.

კვლევით ასევე დადგინდა, რომ საქართველოს საზღვაო უსაფრთხოების გამოწვევებზე რეაგირების მექანიზმები უნდა იყოს რეალისტური და ქვეყნის შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით. კონვენციური საზღვაო პოტენციალის შექმნის მცდელობის ნაცვლად, საქართველომ ყურადღება უნდა გაამახვილოს მიღწევად და დროში გაზომვად პრიორიტეტებზე, როგორებიცაა: ეროვნული საზღვაო უსაფრთხოების სტრატეგია, უწყებათაშორისი კოორდინაცია, პორტების მართვა, სანქციებთან შესაბამისობის ზედამხედველობის მექანიზმების დახვეწა, საზღვაო სივრცის შესახებ ცნობიერების ამაღლება, სანაპირო დაცვის შესაძლებლობების განვითარება - გაძლიერება, კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურის დაცვა და ალიანსის წევრს და შავი ზღვის აუზის პარტნიორ სახელმწიფოებთან პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

საქართველოს საზღვაო მომავალი დამოკიდებული იქნება ეკონომიკური ამბიციების და უსაფრთხო საზღვაო გარემოს თანხვედრასთან. პორტები, მილსადენები, საზღვაო-სატრანსპორტო დერეფნები, წყალქვეშა კაბელები და ციფრული ლოგისტიკური სისტემები უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ეკონომიკური აქტივები, არამედ როგორც ეროვნული უსაფრთხოების განმსაზღვრელი ელემენტები. რეგიონული გამოწვევების გათვალისწინებით საქართველოს - როგორც საზღვაო ქვეყნის სტრატეგიული წარმატება დიდწილად იქნება დამოკიდებული თანმიმდევრულ პოლიტიკურ დაგეგმვაზე, ინსტიტუციურ მედეგობაზე, ტექნოლოგიურ ადაპტაციაზე,

სანდო პარტნიორობასა და იმის გაანალიზებაზე, რომ შეუძლებელია ეროვნულ დონეზე ეკონომიკური ამბიციების სრულყოფა რეგიონში მდგრადი უსაფრთხოების არქიტექტურის არსებობის გარეშე.

Papuna Davitaia

PhD Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

E-Mail: davitaia.p@gmail.com

Georgia's National Interests in the Black Sea: Strategic Challenges and Emerging Opportunities

Abstract

The Black Sea has evolved from a peripheral maritime basin into one of the most consequential geopolitical arenas of the twenty-first century. It is no longer defined primarily by so-called “frozen conflicts,” but by active military confrontation, strategic coercion, energy insecurity, contested connectivity and the growing vulnerability of critical maritime infrastructure. Russia's full-scale invasion of Ukraine has transformed the maritime domain into an operationally contested space where commercial navigation, offshore infrastructure, energy transit and military risk increasingly overlap.

This paper examines Georgia's national maritime interests in the Black Sea by grouping them into three interrelated categories: core security and sovereignty interests; economic connectivity and infrastructure interests; and institutional/foreign-policy interests linked to Georgia's Euro-Atlantic orientation. Using a qualitative analytical approach, the study draws on Georgian strategic documents, Euro-Atlantic policy frameworks, academic literature, policy reports and selected analytical and investigative sources. Realism is applied as a broad geopolitical and security lens to interpret power competition, Russian coercive behaviour, security dilemmas and Georgia's search for external security partnerships.

For Georgia, the Black Sea represents both strategic opportunity and structural vulnerability. Initiatives such as the Anaklia deep-sea port infrastructure project and the planned Black Sea submarine electricity cable strengthen Georgia's role as a transit, logistics and energy bridge between Central Asia, the South Caucasus and Europe. Yet this connectivity cannot be separated

from the region's deteriorating security environment. Russia's adaptive naval posture, including the possible use of Ochamchire port in occupied Abkhazia as a limited logistical or support node, demonstrates how even modest maritime infrastructure may carry significant political, legal and strategic implications.

The study argues that Georgia's maritime interests require a realistic policy response adapted to the resources and constraints of a small state. This includes the development of a national maritime security strategy, stronger interagency coordination, improved port governance and sanctions-compliance oversight, enhanced maritime domain awareness, strengthened Coast Guard capability, protection of critical maritime infrastructure and deeper practical cooperation with Allied and Black Sea partners.

Ultimately, Georgia's maritime future will depend on its ability to connect economic ambition with credible security resilience in an increasingly contested Black Sea environment.

Keywords: *Georgia; maritime interests; critical maritime infrastructure; Black Sea; regional security.*

ბიბლიოგრაფია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. მოძიებულ იქნა <https://mfa.gov.ge/national-security-concept>

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. მოძიებულ იქნა <https://mfa.gov.ge/Foreign-Policy-Strategy>

ტაბულა., (2024). ბარციტი რუსული ფლოტის ბაზაზე: ოჩამჩირეში საბრძოლო ხომალდების სადგომი უკვე ფუნქციონირებს. მოძიებულ იქნა <https://tabula.ge/ge/news/736464-bartsitsi-rusuli-plotis-bazaze-ochamchireshi?redir>

ქვრივიშვილი, მ., (2026). ანაკლიის ნავსადგური 2035 წლისთვის სულ მცირე მილიონ TEU-ს დაამუშავებს. მოძიებულ იქნა <https://1tv.ge/news/mariam-qvrivishvili-anakliis-navsadguri-2035-wlistvis-sul-mcire-ert-milion-teu-s-daamushavebs-rac-saqartvelos-sashualebas-miscems-shavi-zghvis-regionshi-tvirtistvis-mtavari-habi-gakhdes/>

Anaklia Development Consortium. *The Anaklia Port Project*. Retrieved from <http://anakliadevelopment.com/info/>

Anlar, A., 2013. *Security in the Black Sea Region: Continuity and Change*. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/295672938_SECURITY_IN_THE_BLACK_SEA_REGION_CONTINUITY_AND_CHANGE#fullTextFileContent

Atlantic Council., (2023). *A Security Strategy for the Black Sea*. Retrieved from <https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/report/a-security-strategy-for-the-black-sea/>

Courtney, W., (2023). *What does Russia's War on Ukraine Mean for the International Order?* Retrieved from <https://www.rand.org/pubs/commentary/2023/03/what-does-russias-war-on-ukraine-mean-for-the-international.html>

Daly, J. C. K., (2025). *Russian Black Sea Fleet Intends to Establish Base in Abkhazia*. Retrieved from <https://jamestown.org/russian-black-sea-fleet-intends-to-establish-base-in-abkhazia/>

Davitaia, P., (2017). *Current Challenges of the Black Sea Regional Security and their Implications for the North Atlantic Treaty Organization (MA Dissertation)*.

Davlikanova, O., & Vdovychenko, V., (2025). *Winning the Future: Strategies for a Resilient Europe and a Secure Ukraine (Policy Paper)*.

EU NEIGHBOURSEAST., 2024. *EU Enlargement – Ukraine, Moldova and Georgia*. Retrieved from <https://euneighbourseast.eu/enlargement/>

Flanagan, S. J., et al., (2020). *Russia, NATO, and Black Sea Security*. Retrieved from https://www.rand.org/pubs/research_reports/RRA357-1.html

Gamkrelidze, N., (2024). *Can the Black Sea Energy Corridor Power Europe's Green Future?* Retrieved from <https://www.belfercenter.org/research-analysis/can-black-sea-energy-corridor-power-europes-green-future>

Georgian State Electrosystem Ltd. *Black Sea Submarine Cable Project*. Retrieved from <https://www.gse.com.ge/projects/international-projects/Black-Sea-Submarine-Cable-Project>

Ifact., (2026). *New Trade Routes Planned Along Georgia's Occupation Lines*. Retrieved from <https://ifact.ge/en/new-trade-routes-planned-along-georgias-occupation-lines/>

Kanal Istanbul. *Purpose of the Canal Istanbul Project*. Retrieved from <https://www.kanalistanbul.gov.tr/tr/hersey/purpose-of-the-canal-istanbul-project>

Komakhia, M., & Araquelov, A., (2025). *Russia's Permanent Naval Base in Occupied Abkhazia: What to Know About the Work Underway at the Port of Ochamchire*. Retrieved from https://www.academia.edu/142955710/Russia_Permanent_Naval_Base_in_Occupied_Abkhazia_What_to_Know_about_the_Work_Underway_at_the_Port_of_Ochamchire

Koridze, N. (2026). *Georgia and the Black Sea: Strategic Relevance in a Changing Regional Order*. Retrieved from <https://ugspn.org/wp-content/uploads/2026/03/Georgia-and-the-Black-Sea.pdf>

Miller, M., (2024). *Statement on Georgia's Suspension of European Union Accession*. Retrieved from <https://ge.usembassy.gov/statement-on-georgias-suspension-of-european-union-accession/>

NATO., (2019). *NATO-Georgia Commission Statement*. Retrieved from <https://www.nato.int/en/about-us/official-texts-and-resources/official-texts/2019/10/03/nato-georgia-commission-statement>

O'Brien, J. C., (2023). *Senate Foreign Relations Committee Hearing on U.S. Black Sea Strategy*. Retrieved from https://www.foreign.senate.gov/imo/media/doc/ac0fdbbe-cf96-dd04-5958-6d40af5b63ef/102523_O%27Brien_Testimony.pdf

Petersen, A., (2011). *Black Sea Security: The NATO Imperative*. Retrieved from <https://www.wilsoncenter.org/publication/black-sea-security-the-nato-imperative>

Regional Institute for Security Studies (RISS)., (2025). *The Future of the Russian Black Sea fleet (Analytical Brief)*.

Republic of Türkiye, Ministry of Foreign Affairs., 2023. *Implementation of the Montreux Convention*. Retrieved from <https://www.mfa.gov.tr/implementation-of-the-montreux-convention.en.mfa>

Steamship Mutual., 2023. *Drifting Mines and Other Threats – Black Sea*. Retrieved from <https://www.steamshipmutual.com/drifting-mines-and-other-threats-black-sea>

Stronski, P., 2021. *What is Russia Doing in the Black Sea?* Retrieved 18 September 2023 from <https://carnegieendowment.org/2021/05/20/what-is-russia-doing-in-black-sea-pub-84549>

Task Force on the Black Sea Security., (2023). *A Security Strategy for the Black Sea*. Retrieved from <https://www.atlanticcouncil.org/wp-content/uploads/2023/12/A-security-strategy-for-the-black-sea.pdf>

Trans-Anatolian Natural Gas Pipeline. *The Southern Gas Corridor*. Retrieved from <https://www.tanap.com/en/southern-gas-corridor>

Vdovychenko, V., (2025). *Braving the Storm: Countering Shadow Fleet Operations in Europe (Policy Brief)*.

Waal, T. D., (2024). *The End of the Near Abroad*. Retrieved from <https://carnegieendowment.org/research/2024/05/the-end-of-the-near-abroad?lang=en>

Walt, S. M., 2022. An International Relations Theory Guide to the War in Ukraine. Retrieved 23 September 2024 from <https://foreignpolicy.com/2022/03/08/an-international-relations-theory-guide-to-ukraines-war/>

Waltz, K. N., 1979. *Theories of International Politics*. Long Grove (Illinois): Waveland Press.